

არადეთის ორგორას გეომორფოლოგიური გენეზისი  
მულტიდისციპლინარული კვლევის საფუძველზე

გიორგი კირკიტაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო  
ფაკულტეტზე გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები  
(მიმართულება - გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჯანელიძე, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2014

განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

გიორგი კირკიტაძე  
01.01.2014

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი შეეხება ქარელის მუნიციპალიტეტში, სოფელ დოღლაურთან მდებარე, „არადეთის ორგორას“ გეომორფოლოგიური გენეზისის შესწავლას და არადეთის დასავლეთი გორის (დედოფლის გორა) მაღალი რეზოლუციის 3D მოდელის შექმნას. „არადეთის ორგორა“ შედგება ორი, მკვეთრად გამოკვეთილი მდინარეული ტერასისგან, 360°- ით იზოლირებული გორისგან. „არადეთის ორგორადან“ დასავლეთით მდებარე გორა წარმოადგენს ცნობილ არქეოლოგიურ ძეგლს „დედოფლის გორას“.

მონაცემების მოძიება მიმდინარეობდა მულტიდისციპლინარული კვლევის საფუძველზე, კერძოდ, გეო-საინფორმაციო, გეოფიზიკური, გეოდეზიური და ფოტოგრამმეტრული მეთოდებით. კვლევა მოიცავდა როგორც საველე ისე, კამერალურ ნაწილს, კვლევისას აგრეთვე გამოვიყენეთ თანამედროვე ტექნოლოგიები.

საკვლევ არეალზე შესრულებული სამუშაოები ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის ფარგლებში და მოიცავს ისეთ ინფორმაციას რომელიც აქამდე გამოქვეყნებულა ან გამოქვეყნებისთვის არის გამზადებული. კვლევის პროცესში მიმდინარეობდა „არადეთის ორგორას“ გეომორფოლოგიური შესწავლა, რათა გადაგვეჭრა ორგორას გეომორფოლოგიური გენეზისის პრობლემური საკითხები. კვლევის პროცესში მოპოვებული საველე და კამერალური შედეგები შედარდა ერთმანეთს და გაუკეთდა ანალიზი. მიღებული შედეგები წარმოადგენს განსხვავებულ ხედვას „არადეთის ორგორას“

გეომორფოლოგიურ გენეზისზე და ეწინააღმდეგება დღემდე გამოთქმულ ვარაუდებს.

## **Abstract**

Following master thesis is about “Aradeti orgora”, which is located in Municipality of Kareli, near the Doghlauri village. Our purpose was detect geomorphological genesis of “Aradeti orgora” and make high resolution 3D model of its western part (Dedoplis gora). On “Aradeti orgora” there are two 360° isolated hills from the surrounding river terraces. “Aradeti orgora” western hill is famous archaeological site called “Dedoplis gora”.

Data investigation was based on multidiscipline research, in particular Geo-information, geophysical, geodesic and photogrammetric methods. Research included field and desk parts. During the current research we also used contemporary technologies.

Our work on the research area was supported from Ilia State University and includes non-published and published information. During the study we made geomorphological survey of “Aradeti orgora” to solve the problematic issue of its geomorphological genesis. We compared the fieldwork and laboratory results. This master thesis is different vision of “Aradeti orgora’s” geomorphological genesis and opposed the past suppositions.

## მადლობა

ზურაბ ჯანელიძეს

ლაშა სუხიშვილს

მიხეილ ელაშვილს

იულონ გაგოშიძეს

როჯერ პუტნამს

იოსებ ქინქლაძეს

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის თანამშრომლებს

